ოქმი N1

**ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს სხდომისა**

2018 წლის 15 აგვისტო

ქალაქი ხობი

13 საათი

სხდომას ესწრებოდნენ:

ხობის მუნიციპალიტეტის მერი გოჩა ქაჯაია

**მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წევრები:**

1. ალექსანდრე არჩაია
2. მურმან ბაბილუა
3. მამუკა ბუკია
4. გურამ კვიკვინია
5. ნინო ქარჩავა
6. იგორ ქირია
7. გვანცა კიკალეიშვილი
8. ადა შელია
9. გიორგი გოგოხია
10. ნათია სალაყაია

ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანო-სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო ახალი შემადგენლობით პირველად შეიკრიბა. სხდომა ხობის მუნიციპალიტეტის მერმა გოჩა ქაჯაიამ გახსნა, მერმა საბჭოს წევრებს წარმატებები უსურვა და გამოთქვა იმედი, რომ მათი თანამშრომლობა ნაყოფიერი და მრავალმხრივი იქნება.

**დღის წესრიგი:**

**1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარის არჩევა;**

**2. ხობის მუნიციპალიტეტის მერის სათათბირო ორგანოს - სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნის არჩევა;**

1. სხდომის უხუცესმა და საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ ალექსანდრე არჩაიამ საბჭოს წევრებს წარმატებები უსურვა მომავალ საქმიანობაში და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს ორ წევრთან ერთად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარეობის კანდიდატად დაასახელა საბჭოს წევრი გვანცა კიკალეიშვილი. დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ფარული კენჭისყრით, 2 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადით სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს

წევრებმა ერთხმად აირჩიეს მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარედ გვანცა კიკალეიშვილი.

2. სამოქალაქო მრჩეველთა საბჭომ საკუთარი შემადგენლობიდან დამსწრეთა ხმების უმრავლესობით, ღია კენჭისყრით, 2 წლის ვადით, მაგრამ არაუმეტეს საბჭოს უფლებამოსილების ვადით, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივნად გიორგი გოგოხია აირჩია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

მრჩეველთა საბჭოს სხდომის თავმჯდომარე: ალექსანდრე არჩაია